

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების
რეგულირების პრობლემები ქართული სამართლის და ნიუ-იორკის 1958
წლის კონვენციის მიხედვით
(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

ია მოქია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უჩა თოდუა (მოწვეული ლექტორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: _____ ია მოქია.

თარიღი:

აბსტრაქტი

სასამართლო ხელისუფლება გადატვირთულია კერძოსამართლებრივი ხასიათის დავების განხილვით, განსაკუთრებით ეკონომიკური ხასიათის დავებით, ამიტომ საჭიროა საერთაშორისო დონეზე განვითარებული, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდი - არბიტრაჟი, რომელიც ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელი და ბიზნესის განუყოფელი ნაწილია, იგი ქვეყნის წინსვლას თავის წვლილს შემატებს. ამდენად ნაშრომი ეხება საკითხს, თუ რა დოზით ხდება სასამართლოს ხელისუფლების ჩარევა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულების ნაწილში, განსაზღვრავს ქართულ სამართალში მისი რეგულირების პრობლემებს. ამდენად, ნაშრომის ფარგლებში გამოყენებული იქნება კვლევის შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, კერძოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი შედარებული იქნება 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციასთან. ნაშრომის უმთავრესი მიზანია არბიტრაჟის უპირატესობების გაცნობა მკითხველისათვის, საკვანძო საკითხების განხილვა, საჯარო წესრიგთან, შეჯიბრებითობის პრინციპთან და პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით. საკითხის აქტუალურობა განაპირობა საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა და სასამართლოების მიერ საკითხისადმი არაერთგვაროვანმა მიდგომამ, კერძოდ საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისად დაკვალიფიცირებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულების ნაწილში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: არბიტრაჟი, საჯარო წესრიგი, უპირატესობა.

Abstract

Judiciary is overloaded with discussing the private legal disputes, especially economic disputes. Therefore, it is necessary the international advanced level. Alternative Dispute Resolution method-Arbitration, which is necessary and integral part of economic development. It will contribute to the country's progress. The thesis deals with the issue to what extent the government intervention is in a court of arbitration to the recognition and enforcement part. It defines its regulatory problems in Georgian law. Thus, the comparative legal method will be used in the thesis project. Specifically, the law about "The Arbitration" will be compared of the 1958 New York Convention. The main goal of the work is to introduce to the readers the advantages of arbitration. To consider key issues, public order, adversarial principle and reduction of the amount of the penalty. The relevance of the issue was conditioned by the legislative changes and homogeneous approach to the issue by the court. There is not established in Georgia and accordingly qualified common judicial practice section.

Basic search words: Arbitration, public order, the advantage.